

F 24  
1888



# საქართველო

საყოველ-კვირად სალიტერატურო და სახეობრივ გაზეთში

1888 წელსა

№ 21

თიბათვის 19.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ., ხას. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ხელის მოწერა შიიღება: თბილისში, რედაქ. კანტორაში. ფოთში ბესარ. კალანდაქსთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: Тифлиси, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; და ბ-ნ ხიდდეკელთან—გოლოვინის პროსპექტზე.


საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შესწორებს, რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ. მოწერას. ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერსა.

99

თბილისი, 19 ივნისი.

გაზ. „ივერიის“ მოწინავე წერილი (№ 123), შემდეგი სიტყვებით იწყება: „ამ რამდენისამე წლის წინად ბ-ნმა ი. წინამძღვარი შეიღება მაიმოქმედ ჩვენში არა-ჩვეულებრივი საქმე და საკუთარის სარჯით და მეტადინეობით გამართა თავისს მამულში შირველ-დაწყებითი სამეურნეო სკოლა. მაშინ მთელი ქართული განათლებული საზოგადოება გააკვირვა ბ-ნის წინამძღვარი შეიღების საქციელმა და ეკელანი ქება-დიდებას გუძღვნადით სწავლა-განათლებისათვის თავ-გამოდებულს კაცს, რომელმაც თვით-მოქმედების ნიჭსა და საღისს მოკლებულს საზოგადოებას უჩვენა, თუ რა შეუძლიან შექმნას ცალკე აღმიანის მსნეობასა და მეტადინებას, რაკი აღმიანი მისუდუბა თავისის საზოგადოების საჭირებას.“

შემდეგ, ამ მოწინავე წერილის ავტორი ამბობს, რომ ამ სკოლას „საქართველოში ბადალი არ მოეპოვებოდა...“ „გაკვირდნო და დრო და ხანი და ამ დროს განსაკუთრებაში სკოლა ექცაოდა და



წამატებაში შედიოდა, მაგრამ აღმოჩნდა რომ ერთისა და ახორის კაცის მეტადინეობა ვერ გასწავდა რთულ საქმეს, ასე რომ ბ-ნს წინამძღვარიშვილს სასკოლსნა განყოფილება გაუუქმებია უსასწრაზის გამო და კვანუთ, საქმე იქამდის მივიდეს, რომ დამაარსებელი იძულებული შეიქმნას სკოლასე სრულიად სული აიღოს, რადგანაც ჯერ-ჯერობით გულ-შემატკივარი და სულის შემწეობელი არავინა ჰყავს. არც კერძო კანცელა მოუშართეს სკოლას სული და ზოგიერთმა დაწესებულებამაც ჩუულებრივი შემწეობა არ აღმოუჩინა. სკოლა, ამბობს გას. „მეურნე“, დიდს გაჭირებაშია და თუ არ მოეშუკლებიან, იქნება კიდევაც დაისურფოსო.“

დაის! მართლს ამბობენ, როგორც მოწინავე წერილის ავტორი, ისე გას. „მეურნე“: წინამძღვარიანთ კარის სკოლა წინად ჰქვაოდა, ესლა კი ჭკნება... მართლა რომ შეუძლებელია ერთი კაცი გაუძღეს იმასთან რთულ საქმეს, როგორც არის წინამძღვარიანთ კარის სკოლა... მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვის კაცი, რომ ჩვენს, ქართველების ქვეყას შეუძლიან მთელი ქვეყანა გააკვიროს ერთი თვე გუშინ-წინ შესრულდა, რაც ქართველებამ აღმოუჩინა შემწეობა დრამატიულ საზოგადოებას და გას. „მეურნე“-ს: რა არის ჩვენთვის, რაღაც ასო თუმიანო, თქვეს პირველსე, მეორესე თქვეს: რა დიდ თანხას შეადგენს ჩვენთვის სამტვი თუმიანო, და მისცეს, როგორც პირველს—დრამატ. საზოგადოებას, ისე მეორეს—„მეურნე“-ს ის—რასაც ითხოვენ. წინამძღვარიშვილის თხოვნა კი თითქმის უუურადღებოდ დაგდეს: თუ რამ დარჩება ამ სარკების შემდეგ, წინამძღვარიანთ კარის სკოლასაც მივაწოდოთ... წლის ბოლოსო. ნეტა—ვისიმე ჰკითხოს ამ გვარი გადაწყვეტილების დამდგინებლებს: როდის წლის ბოლოს?—მაშინ, როდესაც ამ ნყოფიერ სეს ჭია გამოუთუღრამს გულს და თუ სულ არა, ნასკვარს მაინც გასხმობს?.. ნეტა—ვისიმე ვისიმე: ზოგი ერთი წევრი საზოგადოებისა, მოლაშარაკე მაშინად რომ გადაიქცა და ერთი სჯინის სარკებლობას ამტკიცებდა, რათ დაუდუმადა ენა და მეორე სჯინის სარკებლობასე არა თქვა რა? ან იქნება დრამატ. საზოგად. და „მეურნე“ სრება შეუძლიანთ, სსენებულ სკოლას კი ვნება?

აქ ბ-ნი სუნდუგანტის გმირი იტყოდა: „მასლას“!...

ჩვენ გადავ ვიტყვით, რომ იქნება სსკვან — „ბუკრჯულ თქმი-  
 თაც დაშავდებოდეს“ სოღმე, ჩვენში კი თქმა არას დროს არა  
 სჯობს;“ მაგრამ შექსედები ვაცი იმისთანა საქმეს, იმისთანა ამბავს,  
 რომ გუღს მოგიკლავს და მოდი მოითმინე, გაჩუმიდი. სწორედ  
 ამისთანა ამბავი არის ის, რასუდაც ჩვენი“ ამბობს:

ჩვენნი საზოგადოება თვით მოქმედებას შეჩვეული არ არის  
 და ამ გარემოებამ ფრთა უნდა შეაკვეციოს იმათაც, ვინც ცდასა და  
 მუცადინებებს არა ჭსოვავს, რომ ქვეყანას სამსახური გაუწიოს.  
 ეს გარემოება მათ უფრო სამარცხვინო, სამწუნარო და შეუწინა-  
 რებელია, რომ ჩვენში უმეტეს ნაწილად საზოგადო საქმის წარმა-  
 ტება დამოკიდებულია კერძო კაცის, ან დასის მსხეობასა და გარ-  
 ჯახე და თუ ამ მსხეობასა და გარჯას მხარი არ მიუვით და არ  
 გამოვესარჩენით, ისეთს დანაშაულობას ჩავიდენტ, რომელსაც არა  
 ვითარი შეამსუბუქებელი საბუთი არ ექნება. დღეს ბ-ნის წინამ-  
 დგარიშვილის სკოლას, როგორც ვსთქვით, გულ-შემატკივარი  
 არავინ გასჩენია, მაგრამ ჩვენ ვერ წარმოგვიდგინია, რომ ჩვენმა  
 საზოგადოებამ ის დიდი დანაშაულობა ჩადინოს, თუნდაც (თუმი-  
 ცა) მოსალოდნელი და საფიქრებელი ეოკელისებრია დედა-მიწის  
 ჩურჭზე და კერძოდ ჩვენშიაც.“

ზატყვემული ავტორი ამ სიტყვებისა ნათლად უუერებს იმ  
 სკვანს, რასუდაც გვესაუბრება, გუღიცა სტვივა ამ საზოგადო სა-  
 ქმისათვის, მაგრამ... თითქო ქართველებს არ იცნობდეს, თითქოს  
 ჩვენში არ უცნოვრია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მოწინავე წე-  
 რილის ავტორმა კარგად იცის ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ რაც  
 ერთ „ქვეყანაში“ რიგინად და სამართლიანად ითვლება, ის, შეიძლე  
 ზა, მეორე „ქვეყანაში“ დიდ ურიგობად ითვლებოდეს.

სსკვანს, სსკვანს საღსისათვის რე ეთქოთ: თვატრი, „მეურნე“  
 და წინამდგარიანთ კარის სკოლა, ეს სამივე, სასარგებლო სკვა-  
 ნია და, სამივე შემწეობას ჭსაჭინოებენ, სოლო თვატრი მუდამ  
 გაჭინებაში ყოფილა და სუთი და ათი წელი ჩვენ შეუწევნელად  
 უღონდილია;— „მეურნე“-მ გუშინ დაიწყო მოქმედება და არც გა-  
 საჭირი აქვს რამე, ჩვენ შეუწევნელად იცოცხლებს, — წინამდგ-

სკოლას კი უსათოვოდ დაიკეტება, თუ ესლავი არ შევეწიეთ—უსათოვოდ გადასწვევტდენ: წინამძღვარისათვის კარის სკოლას ესლავი, და უფრო ვნებელი ვი, მიეცეს შემწეობა და „თუ, ამ სარჯის შემდეგ დაჩნება რამე,“ — გაუნაწილდეს თეატრს და „მეურნეს“-აო. აქ, ჩვენ კი სულ წინააღმდეგ გადავწვევით. რათა? რათა და იმათა რომ წინამძღვარი შეიღმს თავი ვერ დაიმტირა იქამდის, რომ „თავისთვის პარტია შეედგინა“ და საქმე მიანდო „საზოგადოების სამართლიან სკვას.“ ამ სამართლიანმა სკვამ კი „ზოგაერთების მოწყალებით“, როგორც წინააღმდეგ იყო მოსალოდნელი, — უმტყუნა.

## ასალი ამბები

დღეს, იენისის ცნობის და სკალ, ორშაბათს, თბილისის ჭართული დრამატიული დასი, ქ. გორში, ასლად გადაკეთებულს თეატრში, გაქმართავს ორ წარმოდგენას. კვირას იქნება წარმოდგენილი: „ციმბირელი“ და ორშაბათს „ესლანდელი სიყვარული“ და „ბაიუში.“

ამ წინააღმდეგ, ბ-ნმა შევალემ, გამომძიებელი ხოსროვის დამცემლმა თბილისის სამოსამართლო შალატში შეიტანა საჩივარი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ხოსროვის, თუმიტა ფორუჟი სულმა „ციმბირში გაგზავნა გადაწვევითა, — მაგრამ ისე უწინდელი უფლებები აქვს, სანამ შალატს ეს გადაწვევითლება არ დაუმტკიცებია და სთხოვა ჟურ-ჟურობით განთავისუფლება. წარსულს სამშაბათს ეს საჩივარი განისილა სამოსამართლო შალატამ და მოასწავს ბ-ნს შევალეს: დიდად ვწუხვართ, მაგრამ... ვერ მოგართვითო!

საკვირველია „სულდების“ საქმე: იმის გარდა, რომ ციმბირში გაგზავნას უწვევტამენ აღმიახს — გაქრევის სასსარსაც უსაბოძენ?

თბილისელები მუდამ დღე შემოგვივიან ავტალის წყალმა დაკვსაშმა, წყალს რომ დაუღვეთ მუცელში ტკივილსა ვგრძნობთო. მთადი ამის შემდეგ ნუ ვიფიქრებთ, რომ ქალაქის გამგეობის წევრებს, როდესაც ავტალიდამ წყლის გამოყვანა „გამოუგონიათ,“ ვველაფერზედ კარგად უფიქრიათ, გარდა მცნოვრებლების ინტერესებისა!

ვინც რა უნდა თქვას... ქალაქის მმართველობას მარტო ისლად ღარჩენია, რომ რაც უნდა დაუფადეს, სხვა და სხვა კომისიები შეადგინოს, რომლებსაც შეეძლოს „დაკვადებში“ ცხადად დაამტკიცოს, რომ იმათგან გამოყვანილი წყლის დამლევი—უგვადკვების წყალსა ჰსვამს, მტკვრის დამლევი კი—სუთ წელიწადსაც კერ იცოცხლებს.

როგორც შეეიტყეთ, მომავალ წლიდამ, თბილისის სემენარიაში ექიმობის სწავლება უნდა შემოიღონ. დიდი სასარგებლოა ეს განზრახვა.

როგორც დეპუტებით იუწყებიან სასულმწიფო კრებას გადაუწყვეტია: ტომის უნივერსიტეტში მომავალი სექტემბრიდამ გაიხსნას მარტო საექიმო ფაკულტეტი. ნახევარ წლის სწავლის ფასი იქნება ორ თუმან ნახევარი.

თბილისის დიდი მთავრინასი ოფგა თეოდორეს ასულის საქალბო გიმნაზიაში, წელს შესარულა კურსი 95 ქალმა. ამ რიცხვიდამ შეიდი კლასი შესარულა სამმა ქართველმა და მერვე—ორმა.

ტფილისის თავად-ახნაურთა საადგილ-მამულო ბანკში, 16 იანისს, იყო ვაჭრობა დაჯიჯაკუბული სოფლის და ქალაქის მამულეებისა. დანიშნული იყო გასასუიდათ სულ 188 მამული. ამ რიცხვიდამ 16 იანისის 12 სათამდე 164 მამულის ზატრონმა შეიტანა გადასახადი და გასასუიდად დანიშნა მხოლოდ 12 სოფლის მამული და 12-ც ქალაქისა. ამ რიცხვიდამ გაიყიდა 8 ქალაქის

მამული და 7 სოფლისა. მეორე ვაჭრობა იქნება ივნისის 30-ს, გასასულია 4 ქალაქის მამული—32746 მ. 35 კ. და 5 სოფლისა—108903 მ. 95 კ. ამ სოფლის მამულებში, თ. ჩ.-შვილის მამულს ასევე ვეკლავს დიდი ვაღი—79600 მანეთი.

### გ ა ზ ა უ ხ უ ლ ი .

...

ზამთარმა ხომ ნასესხები  
პპრილშივე გაითვალა,  
ტახტი ტურფას დაულოცა,  
მეითონ სადღაც მიიჩქმალა.

მელი მწვანედ მოზიბინებს,  
მერას გეაკლებს მკაცრის ძალა.  
ზულმა გარეთ გამოფინა,  
რაც აქამდინ სევედა მალა.

ჰა! მერცხალიც გადმოფრინდა,  
თევისუფლად ფრთა გაშალა,  
ცელქ ნიაემაც ზედ მოჰბგრა,  
ქველა ფეხზედ წამოშალა.

სევედიანი ბულბულის ხმა  
მოსდებია არე მარეს,  
ხან დაჰყენის ვარდის ბუჩქებს,  
ხან უგალობს კაშკაშ მთეარეს.

ხან ყურს უგდებს მოქანცული  
წყაროს ლურჯად მომჩქეფარეს...

...

შორს ჯეჯილში დანაბული  
 მოკუკუტუკებს წყნარად მწყერი,  
 ბაზაფხულდა და გულს გეიშლის  
 აწ ბუნება მშვენიერი.

ბობნაძე.

### ქართული თეატრის წარსული სეზონი.

თეატრის სეზონი გათავდა კარგა ხანია და ჩვენი არტისტები, როგორც გაზაფხულის მოჭიკჭიკე მიწინელები, გაფრინდნენ სოფლებში და სოგნი კი როგორც ამბობენ — მასრის ქალაქებში აწირაბენ აჭიკჭიკებას.

თუ გადავხედოთ წარსულს სეზონს, დიდი და საუურადლებო არა მოგვაგონდება რა დადგმულის პიესებიდგან. ვის დაგაბრალდოეს მოკლენა? დრამატული სასოგადოების მმართველობას, მწერლებს, არტისტებს, თუ თვით სასოგადოებას? — შგონია ეველას ფეხი ედგას ამ დანაშაულობაში: დრამატული სასოგადოების მმართველობას — იმაში, რომ თავის დროზე არ შეუდგა საქმეს, რიგანს პიესები ვერ შეიძინა და თუ შეიძინა, რიგანად ვერ მოამზადა; მწერლებს — იმაში რომ სოგიერთებმა გაიგულგრილეს მოკალეობა და არ მოაწოდეს სსენებულს მმართველობას პიესები; არტისტებს — იმაში, რომ როლებს ჭდალტობდნენ და ერთმანერთის შურით და შუღლით დასცეს სოგი პიესები, გააუფერულეს და სასოგადოებას ხალისი მოუკლეს თეატრში სიარულისა; სასოგადოებას კიდეც იმაში, რომ სოგიერთს რიგანს და რიგანად დადგმულს პიესებშიაღ ადარ დაიარებოდა და დრამატულის სასოგადოების მმართველობა იქამდის მიიყვანა, რომ, თუ ამ სასოგადოებას ბალი არ შესწეოდა, ვაწიდეგან ვერ გამოვიდოდა; სასოგადოებამ იქამდის მიიყვანა თეატრის მმართველობა, რომ, მან, თავად-აზნაურთა კრებას სელი გაუშვირა შექმნობისათვის, სამაწალოდ!..

საქართველოს  
საზოგადოებრივი

ჩვენი საზოგადოება რომ გუღერძილია ამ გვარებში—გვგანაჩნდა. აი, თუნდა გასეთებზე სელის მოწერა გსიქვით.—ბანკის საზოგადო ფრილობაში გამოაცხადეს შემწეობის აღმოჩენა „მეურნის“ გამოცემაზე და სელი გი აჩა ვინ მოუწერა ამ სასარგებლო გასეთს; ამავე გუღერძილობას ვსედავთ წიგნების ყიდვასა და კითხვაში, მაშინ როდესაც, ზოგი ვაჭარბატონი ერთის, წლის „მეურნის“ საფასურს არ დაჯდომავს შესწიროს ან „პინკის“, ან მუხრანს, ან პანქოს!..

მაშ სად დაიარებოდა ჩვენი საზოგადოება? სად ატარებდა დროს?—რადა კითხვა უნდა: კლუბებში, ბალებში... ახლა აიღეთ სხვა-და-სხვა კონცერტები, ცირკი, ბალები და ოპერა.

ოპერას უფრო ელტობდნენ ქალები, ჩვენი „ბარბანები.“—რატომ?—რატომ და—მიტომ, რომ იქ კარგი სიმღერა ყურს უტკობდა მათ და უთმობდაც დასუსტებულს ძარღვებს აუთრთოლებდა, რადგან იქ იყო კარგი მომღერალი ტენორი, გვარად ლოდი, ტურფა, ლამაზი ლოდი... გულში ჭკვეთ ახნდათ ზოგიერთს ქალებს ეს ლოდი—მისი ხმისა და სიმღერისათვის.

მეორე ჯგუფს არტისტები, ესე იგი—მეორე ხარისხისა, ახირობდნენ საზოგადოების გართობას და ამ წინა კვირაში წამოაყენეს „ჩემო დღი“, მაგრამ რძეზე შირდამწვარი საზოგადოება წყალსაც შეუბერავდა აღარ მიეკარა—და ანაჟოგად გადაიკარგა: სოფლებში, წყლებზე და სხვ. და სხვ., და თულა დარჩა ვინმე ქალაქში, ისინიც ვარ-ჩაკეტოები სსედან სახლებში, რომ ბუხები... უკარგად... მეორე ხარისხის არტისტები არ შეუცვივდნენ ბილეთებით!.. მხოლოდ საღამოობით თუ გაეღება ქალაქში დარჩომილების ფანჯარა, იქ გადმოჰყდარი „ბარბანები“ დაიწყებს ზუზუნს:

ბაღში რად არ მელოდია?..

მიუყარს შენი მელოდია!..

მასაკუთრეთ მე ლოდია,

ანუ გულზე მე ლოდია!..

ახალი სეზონი რით გავკარტობს, რით დაგვტკობს—შემოდგომაზე დაუნასწავთ.



## მეთოქის ძალი

ისტორიული მოთხრობა ფელიქს ლილლიასი.

(გაგრძელება.)

ლიცენტიანტს სულ სხვა სურვილი ჰქონდა და ეცადა როგორმე მიემხრო იმისი ძმა ხილიაირი, რომელსაც დაჰპირდა უხვად პატივის და მადლობის გადახდას, მაგრამ ის მტკიცედ იყო თავის სიტყვაზედ, და ბოლოს გარდაწყვეტით უთხრა მდგმურს, რომ სხვაგან ეშოვნა სახლი და გადასულიყო ამის ოთახებიდამ.

— შრომზეკმა ამაზედ უარა თქვა: ოთახები სამის თვითა მაქვს დაქერილი და ფულიც მოცემულია. მე ნებას არ მოგცემთ, რომ პირობა დაარღვიოთ. ამაზედ ნულარაფერს მელაპარაკები.

ამ სიტყვების შემდეგ გამობრუნდა და სიჩქარით წამოვიდა. მანკვიფრებულმა ხილიაირმა არ იცოდა რა ექნა.

— ღიდ-გულობისათვის მაგიერს გადაგზნდით. ზადუხდი მაგიერს აგრეთვე სერჟანტ-მორენს, ბუტბუტებდა ჰერცოგი. მე უნდა წინ გადამელობნენ ვილაცა თოკის მგრეხელები და სერჟანტი?! ღად შრომას არ მივიღებ, რომ ეს უბედურები ერთბაშათ მოესპო დედამიწის ზურკიდამ.

მეორე დღეს ხილიაირი მოდოდა სანტ-ესტაშის მოედანზედ. პოლიციის კომისარმა მხარზედ ხელი დაადო და უთხრა: „გესმის, ხილიაირ ღიუვალ?“

— რა გნებაეთ?

— მმართველობის ბძანებით შენ დატუსაღებული ხარ!

— რისთვის? ბაკვირებით ჰკითხა ღიუვალმა. მე ცული არაფერი არ მომიხდენია!

— მე არ ვიცი მოახდინე რამე თუ არა, მაგრამ ბძანების ძალით მე შენ გატუსაღებ და ნულარ იგვიანებ, გამომყე.

ახალ-გაზდა კაცი წაიყვანა და ღონ-ბრესკში დაამწყვდია. ამასთანავე მიწერილი იყო კორპუსის უფროსთან მონ-ტმოროანში, რომ სერჟანტი მორენი არ დაეთხოვნა და არც მიზეზი გამოეცხადებინა.

ხილიაირის დატუსაღებამ დიდი ალიაქოთი ასტეხა ღიუ-ვალის სახლობაში. არაინ არ იცოდა, თუ როგორ მოხდა ხილიაირის დატუსაღება. იმის მამა წავიდა პოლიცაში; აქ ვერაფერი ვერ შაიტყო და როცა მოითხოვა მიზეზის გაგება და გაანჩნლებულის ხმით დიწყო ლაპარაკი, წინალამ კისერ-ში ცემით გამოისტუმრეს...

ამისთანა სიმდაბლე და ბოროტება შრონზაკს სრულე-ბითაც არ აწუხებდა.

მს ისე იმას ფიქრობდა, თუ როგორ შეესრულებინა თავისი სურვილი. მარინა კი წინანდებურად ყურს არ უგდებდა ჰერცოგის საყვარულს. ძმის დატუსაღების გარდა მარია-ნას სხვა დარდიც მიეცა: საქმრომ მოსწერა, რომ უფროსი წამოსვლის ნებას არ აძლევს.

ლიცენტიანტმა ნახა, რომ საქმე უფრო ძნელდება და მოიხსნა მასკა: შეხვდა მარინას და გამოუტხადა, რომ ის მართლა უბრალო ლიცენტიანტი ლეონარდი კი არ არის; ის არის ჰერცოგი დე-შრონზაკი და დიდ კაცთ-მოყვარეობას იჩენს რომ მარინა უნდა შეირთოს.

შეშინებული ქალი გაიქცა და მამას შეატყობინა ეს ახალი ამბავი.

მოხუცებული ღიუვალი იმ საათშივე გამოცხადდა ჰერ-ცოგთან; თავაზიანად სალაპი მისცა და სთხოვა მოძძანებუ-ლიყო თავის ოთახში.

მოწყალეო ხელმწიფე, მოახსენა ღიუვალმა! მადლობე-ლი ვარ პატივისათვის, რომელიც თქვენ ჩემს ქალს გამოუ-ცხადეთ, მაგრამ მარინას არ შეუძლიან და არცა ჰსურს თქვენი მეთუღლეობა, რადგანაც იმას სხვა უყვარს. ამის შემ-

დღე თქვენი ჩემს სახლში დარჩომა შეუძლებელია და გთხოვთ დღესვე გადახვიდეთ აქედამ.

— ჰერცოგმა უპასუხა: „პირობის ვადა ჯერ არ გათავებულა.“

— აი ფული რომელიც თქვენ გეკუთვნით, უკანვე მიიღეთ!

ჰერცოგმა ფულის აღება არ ინდომა და მოხუცებულმა ღიუვალმა მოახსენა: „დიდებულო ხელმწიფე! იქამდის ნუ მიმიყვანთ რომ სახლის პატრონის ღონის ძიება ვიხმარო; ნუ მიმიყვანთ იქამდისინ, რომ დავივიწყო ის პატივისცემა, რომელიც ჩემისთანა უბრალო ბურჟუა უნდა აძლევდეს თქვენისთანა პირს. თქვენი ბრწყინვალეების მეცადინეობით არის დატუსაღებული უდანაშაულო ჩემი შვილი და, როგორც ეხლა მივხვდი, თქვენვე ხარო მიხვები, რომ ჩემმა სასიძომ ვერ აიღო ნება წამოსვლისა.“

— ღიხ! დაიძახა ერთბაშით შრონზაკმა! ეს მე მოვახდინე და კიდევ ბევრს ბოროტებას მოვიქმედებ, თუ თქვენ არ...

— ბეყოფათ, თქვენო ბრწყინვალეებ! ჩვენ არ გვეშინიან თქვენის მუქარებისა, ბოროტ განძრახვით შემოიპარეთ თქვენ ჩვენ სახლში. ჩვენი ერთგულობა და სიყვარული თქვენ გადაგვიხანდეთ დიდის უმადურობით. თქვენ საქციელზედ ვიჩივლებ პარიჟის პარლამენტის პრეზიდენტთან და თუ საქიროება მოითხოვს, — თვით ხელმწიფესთანაც.“

— ჰერცოგმა სიცილით უპასუხა: საჩივარი ცოტა სარგებლობას მოგიტანთ.

— რაც იქნება ვნახამთ, ეხლა კი თავი დააწებეთ ჩემს სახლს.

თუმცა ჰერცოგს არა ჰსურდა, მაგრამ მაინც უნდა გადასულიყო იმ სახლიდამ. მაჯაერებელი ჰერცოგი ამბობდა: „ისეთ ნაირად დავსჯი ამ „დაწყვეტილ ბუდეს,“ რომ მთელმა პარიჟმა ილაპარაკოს აქაზედ.“

ამ დამუქრებამ ღიუვალს ძალიან დალონა.

მაშინვე წავიდა ღენერალ ბრატ-ლიამოტ-ბუნდაკურთან, რომელიც ამ დროს სატახტო ქალაქში იმყოფებოდა. მოხუცებულმა ღიუვალმა უამბო ყველაფერი და შემწეობა და დარიგება სთხოვა.

ბულკეთილი და წარჩინებული მოხუცებული გრაფი კარგათ იცნობდა ღიუვალს, როდესაც ის ჯარის კაცად იყო და ომიანობის დროს ყოჩაღობას ეწეოდა; მაგრამ გრაფს არ შეეძლო ეშველა იმისათვის, რადგანაც სახელმწიფოთა საქმეში ამ ქამად დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

როდესაც ღიუვალმა სთხოვა, რომ მას შუამავლობა გეეწია და დაეხსნა როგორმე ჰერცოგ დე-ფრონზაკისა და იმის მამის მარშალ რიშელიესაგან, ბრატმა აღუთქვა დახმარება, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ვერას უშველიდა; ამ აღთქმით იმას ჰსურდა დაემშვიტებინა აღელვებული და გაბოროტებული საწყალი ღიუვალი.

ბრატმა წავიდა ჰერცოგ რიშელიესთან და მოითხოვა მისი შუამდგომლობა ამ საქმეში.

საყვარელო გრაფო, უთხრა მარკიზმა, მე წესად მივიღე, რომ არას დროს არ გავერიო ჩემი შვილის უგუნურ საქციელებში. მე არ მომწონს ახალგაზდა ღიუვალის დატუსაღება და ვთხოვე გაანთავისუფლონ.

ლიამოტ-ბუნდაკურმა მაშინვე აცნობა ეს ამბავი მოხუცებულ ღიუვალს და ურჩია გულ-დადინჯვებით ელოდნა, თუ რა იქნებოდა შემდეგ. მართლაც რომ მეტი ღონისძიება აღარ იყო.

ბრატმა ნება დართო და სერჟანტ-მორენს შეეძლო წამოსვლა პარიჟში.

შრონზაკი ისევ წავიდა შერსალში, რომ თავის შრბენტან მოელაპარაკნა, თუ როგორ და რის საშუალებით აღესრულებინა თავისი სურვილი. რადგანაც კიდევ არა სტოვებდა თავის განზრახვას. შრბენმა ურჩია რომ ძალა მოეხმარათ.

ჰერცოგმა რამდენჯერმე მოიწადინა მარიანას მოტაცება, მაგრამ მოხუცებული ღიუვალი ერთგულად ჰყარაულობდა თავის ქალს, კარზედ არ უშვებდა. დე. შრონზაკმა აღსრულებაში ვერ მოიყვანა თავისი სურვილი. როდესაც ხილიაირმა მიიღო თავისუფლება და სერჟანტი მორენიც მოვიდა პარიჟში, მაშინ ჰერცოგმა სრულებით ვეღარ გაბედა მისვლა, რადგანაც ეს ორი ახალგაზდა უფრო ერთგულად ჰყარაულობდნენ მარიანას, ვიდრე მოხუცებული ღიუვალი.

ბოლოს ჰერცოგმა გარდასწყვიტა ძალა მოეხმარა; გამოიყოლა შრბენი და ექვსი მოსამსახურე; მოვიდა დე. ლია-ფერონერის ქუჩაში და უბძანა ცეცხლი მოეკიდებინათ მეთოქის სახლისათვის.

ღიუვალის სახლში ბლომად იყო მომზადებული კანაფი და სელის ნაწიწი და ცეცხლის ალი თვალის დახამხამებაზე ეცა ჰერს.

ამ საშინელ არეულობის დროს ჰერცოგის მოსამსახურეებმა სტაცეს ხელი მარიანას, ჩასვეს მომზადებულ ეტლში და წაიყვანეს ღიუ-რულში, სადაც შრონზაკის ერთი სახლთაგანი იყო.

მარიანას მოტაცება შეუნიშნავათ არ დარჩა. ხილიაირმა და მორენმა აიღეს იარაღი და მაშინვე უკან დაედევნენ. ღიუ-რულში შეცვივდნენ კარებ ღია ჰერცოგის სახლში და ერთ ზალაში ნახეს გულ-წასული მარიანა; ჰერცოგი გვერდზე მოსჯდომოდა.

— მომეცი ჩემი საცოლო! შეჰყვირა გაცოფებულმა მორენმა.

(დასასრული შემდეგ №-ში).

\* \* \*

მეყურობ ცაში ურიცხვ ვარსკილავებს,  
 ზოგი ანათებს, ზოგი ჰქრბიან,  
 იბადებიან აგრეთვე სოფელს,  
 ზოგნი . . . ესალმებიან.

თ. ვ. ს. კრისტავი.

### ხალხური ლექსი.

ერთი ახსნაურ შვილი, როდესაც ცოლის შერთვის დრო მო-  
 უვიდა, წავიდა თავისაკე წოდების კაცის ქალის გასაშინჯად და თან  
 გაიყოლა მოსამსახურე. შუა ვახშამსკდ, ღვინისაგან შეჟინულილე-  
 ბულ ასლგანდას გამოუყენეს ქალი გასაშინჯად. ქალის სასის  
 სითეთრემ და ტურთვად ზურიღმა ტანადობამ შესტაცეს გული და-  
 სანიშნად მომსადებულ ვაჟს; საკლი ვერაფერში ვერ შეამჩნია, თუმ-  
 ცა ქალი ცალი თვალით ელაში იყო. მაგრამ, სანამ სასამო შერ-  
 თვის თანსმობას გამოაცხადებდა, თავას მოსამსახურეს გადაუგრა  
 თვალი — ანიშნა, რომ იმასაც დაეთვალეიერებინა. მოსამსახურე წადგა  
 წინ და მოახსენა ეს ლექსი:

ყმაწვილო როგორ ვერ იცნობ  
 იაგუნდსა და ღალსაო,  
 სჯობს ალმასი გაუთლელი,  
 ღალსა და ფირუზასაო.  
 ბუდეში ვდომი რას არგებს,  
 წყალი აკლია თვალსაო.  
 გონიერი ხარ მისვდები,  
 ჩაკარდი გულის ხმასაო.

(გაგონილი ს. აძეშვი. აძველისაგან.)

ს ა ე უ რ ა დ ლ ე ბ ო .

შაკეკის წამალი, მოგონილი ივგლისის კოროლევისაგან.

კოროლევა გიქტორიას სშირად აუკარდება სოღმე „შაკეკი“ — შუბლის საშინელი ტკივილი. ამ დროს სასასლის ქაღები ნელ-ნელა უღიტინებენ შუბლზე და თვალის ქეთუთოებზე აქლემის ბაღნისაგან გაკეთებული ჩოტკით; ტკივილი უმშკვლად გაშვლის სოღმე.

გ ა მ ო ო ო ო ო ო ო ო ო .

(შეკრებილი თ. რ. ერ—ს-მიერ.)

ერთი სტუმარი მესტუმრა  
მინდღეში უსტუმრებელი,  
მას რომ საკმელი მივართვი  
სუფრაზე დაუღებელი.

ბადმოვღებოდი გეჩვენებოდი,  
რად არ იცოდი გესტუმრებოდი.

ჩ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

თბილისში მცხოვრებნი ხელის მომწერნი, შემოგვჩივიან, რომ გაზეთის №№-ბი თავის დროზე არ მისდით. ამ საჩივრის მოსასწობლად გადავწუვიტეთ არ

დავიშორეთ ცოტაოდენი სარჯი და ამის შემდეგ გა-  
 სეთი ვგზავნით ქალაქის ფოსტით.

ამისათვის უმოწილესად ვთხოვთ თბილისში  
 მცხოვრებთ ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ შეატობი-  
 ნონ რედაქციას ნამდვილი თავიანთი ადრესები. ად-  
 რესებში უსათოვოდ უნდა იყოს მოხსენებული: ქუ-  
 ჩა, სახლის №-რი და სასული და კვარტი ხელის მომ-  
 წერისა. უამისოდ გასეთი ვერ გაეგზავნე-  
 ბათ.

ვისაც გასეთი უფასოდ ეგზავნებათ, გარდა თანა-  
 მშრომლებისა, იმათ უნდა წარმოადგინონ ეს ლავე  
 თითო მანეთი ადრესის ფასი.

ვინც ამ ფულს არ წარმოადგენს, იმათთვის გასე-  
 თის №№-ბი მიბარებულ იქნება თავად-ანსაურთა ქარ-  
 ვანლაში ახლად გაღებულ „სარძეო“-ში.



რედაქტორი და გამომცემელი. ალ. ნიკიფორიძე.

Тип. Г. Чарквіани. Дозв. Ценз. Тиф. 18 Юни, 1888 г.